კლიმატის ცვლილების, ადაპტაციისა და კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფული რისკების რეაგირების სამუშაო ჯგუფის

სხდომა N 1

ქ. სენაკი **24.03.2022 წ.**

სენაკის მუნიციპალიტეტის შეხვედრების დარბაზში გაიმართა კლიმატის ცვლილების, ადაპტაციისა და კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკების რეაგირების სამუშაო ჯგუფის სხდომა.

სხდომას თავმჯდომარეობდა: გაიმართა კლიმატის ცვლილების, ადაპტაციისა და კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკების რეაგირების სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი - ნანა ზარანდია.

სხდომას ესწრებოდა სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ბატონი ვახტანგ გადელია და სამუშაო ჯგუფის ყველა წევრი.

დღის წესრიგი:

1. სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანებისა და ტექნიკური დავალების გაცნობა

მომხსენებელი: ნანა ზარანდია-ჯგუფის ხელმძღანელი

2. სამუშაო ჯგუფის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი: ნანა ზარანდია-ჯგუფის ხელმძღანელი

მოისმინეს: 1. სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანებისა და ტექნიკური დავალების გაცნობა

მომხსენებელი: ნანა ზარანდია-ჯგუფის ხელმძღანელი

მომხსენებელმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო გადაწყვეტილება გარემოსდაცვითი საკითხების, კლიმატის ცვლილების შემარბილებელი ღონისძიებებისა და ბუნებრივი საფრთხეების პრევენციის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების განსახორციელებლად სენაკის მერიაში სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ და ნაყოფიერი მუშაობა და წარმატება უსურვა ჯგუფის წევრებს.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა წარმატებები უსურვა საქმიანობაში, სამუშაო ჯგუფს.

მოისმინეს: 2. სამუშაო ჯგუფის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი: ნანა ზარანდია-ჯგუფის ხელმძღანელი

მომხსენებელმა ნანა ზარანდიამ ჯგუფის წევრებს გააცნო ჯგუფის მიერ განსახორციელებელი ტექნიკური დავალებები და სამოქმედო გეგმა.

აზრი გამოთქვეს: ჯგუფის წევრებმა ერთხმად მოიწონეს წარმოდგენილი გეგმის პროექტი და მხარი დაუჭირეს მის დამტკიცებას.

სამუშაო ჯგუფმა გადაწყვიტა:

1. მოწონებული და დამტკიცებული იქნეს წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა სახელმძღვანელოდ (დანართი თან ერთვის).

სხდომის თავმჯდომარე: ნ. ზარანდია

სხდომის მდივანი: დ. ქაჩიბაია

კლიმატის ცვლილების, ადაპტაციისა და კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფული რისკების რეაგირების სამუშაო ჯგუფის

სხდომა N 2

ქ. სენაკი **14.05.2022 წ.**

სენაკის მუნიციპალიტეტის შეხვედრების დარბაზში გაიმართა კლიმატის ცვლილების, ადაპტაციისა და კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკების რეაგირების სამუშაო ჯგუფის სხდომა.

სხდომას თავმჯდომარეობდა: გაიმართა კლიმატის ცვლილების, ადაპტაციისა და კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკების რეაგირების სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი - ნანა ზარანდია.

სხდომას ესწრებოდნენ: სამუშაო ჯფუფის წევრები.

დღის წესრიგი:

1. სენაკის მუნიციპალიტეტის ზემო ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში ნაპირსამაგრი ნაგებობის მშენებლობის მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით რიგი საკითხების განსაზღვრის თაობაზე

მომხსენებელი: ნანა ზარანდია-ჯგუფის ხელმძღანელი

2. კლიმატის ცვლილების მიმართ განსახორციელებელი შემარბილებელი ღონისძიებების, საქართველოს ქალაქებისა და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრების ეკოლოგიური მდგომარეობისა და იერსახის გაუმჯობესებისა და ადგილებზე მოსახლეობის დასაქმების პროგრამის გაცნობის შესახებ

მომხსენებელი: ნანა ზარანდია-ჯგუფის ხელმძღანელი

მოისმინეს: 1. სენაკის მუნიციპალიტეტის ზემო ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში ნაპირსამაგრი ნაგებობის მშენებლობის მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით რიგი საკითხების განსაზღვრის თაობაზე

მომხსენებელი: ნანა ზარანდია-ჯგუფის ხელმძღანელი

მომხსენებელმა მიაწოდა ინფორმაცია სამუშაო ჯგუფის წევრებს სამუშაო ვიზიტის თაობაზე, რომელიც შედგება 2022 წლის 16 მაისს და აღნიშნულთან დაკავშირებით ეთხოვა ჯგუფის წევრს ირაკლი საჯაიას, სენაკის მუნიციპალიტეტის ზემო ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში მიმდინარე ნაპირსამაგრი ნაგებობის მშენებლობის პროცესის დათვალიერება ჩამოსულ სტუმრებთან ერთად. ასევე, სამუშაო ჯგუფის მდივანს დაევალა პრეზენტაციის მომზადება -სამუშაო ჯგუფის საქმიანობასთან დაკავშირებით.

მოისმინეს: 2. კლიმატის ცვლილების მიმართ განსახორციელებელი შემარბილებელი ღონისძიებების, საქართველოს ქალაქებისა და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრების ეკოლოგიური მდგომარეობისა და იერსახის გაუმჯობესებისა და ადგილებზე მოსახლეობის დასაქმების პროგრამის გაცნობის შესახებ

მომხსენებელი: ნანა ზარანდია-ჯგუფის ხელმძღანელი

მომხსენებელმა, სამუშაო ჯგუფის წევრებს გააცნო მთავრობის სამომავლო პროგრამა - კლიმატის ცვლილების მიმართ განსახორციელებელი შემარბილებელი ღონისძიებების, საქართველოს ქალაქებისა და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრების ეკოლოგიური მდგომარეობისა და იერსახის გაუმჯობესებისა და ადგილებზე მოსახლეობის დასაქმების თაობაზე. შესაბამისად, ამ პროგრამის ფარგლებში დაიგეგმა განსახორციელებელი ღონისძიებები და დაევალა სამუშაო ჯგუფს გამწვანების ლოკაციების და ხე-მცენარეების შერჩევა, სათანადო დოკუმენტების მომზადებით.

სხდომის თავმჯდომარე: ნ. ზარანდია

სხდომის მდივანი: დ. ქაჩიბაია

Gmail

სენაკის მუნიციპალიტეტის მერია <senakismeria@gmail.com>

16 მაისის შეხვედრასთან დაკავშირებით

1 წერილი

Ani Bukia <Ani.Bukia@eiec.gov.ge> 10 მაისი, 2022, 15:17
ვის: სენაკის მუნიციპალიტეტის მერია <senakismeria@gmail.com>

სენაკის მუნიციპალიტეტის მერს,

ბატონ ვახტანგ გადელიას

ბატონო ვახტანგ,

მოგახსენებთ, რომ საქართველოს მთავრობის, კლიმატის მწვანე ფონდის (GCF) თანადაფინანსებით და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის - „კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკების შემცირება საქართველოში“ ფარგლებში 16 მაისს სენაკის მუნიციპალიტეტს პროექტის ფარგლებში ესტუმრება **ერიკ ილსი** - შვედეთის მისიის ხელმძღვანელის მოადგილე,საქართველოში შვედეთის განვითარების სააგენტოს წარმომადგენელი, **ხათუნა ზალდასტანიშვილი** - საქართვლოში შვედეთის საელჩოს პროგრამების ხელმძღვანელი, **ნინო ანთაძე**- გაეროს განვითარების პროგრამის, გარემოს დაცვისა და ენერგეტიკის მიმართულების ხელმძღვანელი.

ვიზიტის ფარგლებში მოინახულებენ მიმდინარე ინფრასტრუქტურულ სამუშაოს, პროექტის შესახებ შეხვედრა გაიმართება სენაკის მუნიციპლაიტეტის მერიაში და ასევე, ესტუმრებიან შერჩეულ სკოლას პროექტის ფარგლებში შემუშავებულ ტრენინგზე დასასწრებად.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საკონტაქტო პირია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის რეგიონული კოორდინატორი - ანი ბუკია

(ტელ: 597 23-32-43 ელ.ფოსტა: Ani.bukia@eiec.gov.ge)

მადლობას მოგახსენებთ თანამშრომლობისათვის.

პატივისცემით,

ანი ბუკია

ადგილობრივი კოორდინატორი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

კლიმატის ცვლილების, ადაპტაციისა და კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფული რისკების რეაგირების სამუშაო ჯგუფის

სხდომა N 3

ქ. სენაკი **16.05.2022 წ.**

სენაკის მუნიციპალიტეტის შეხვედრების დარბაზში გაიმართა კლიმატის ცვლილების, ადაპტაციისა და კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკების რეაგირების სამუშაო ჯგუფის სხდომა.

სხდომას თავმჯდომარეობდა: გაიმართა კლიმატის ცვლილების, ადაპტაციისა და კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკების რეაგირების სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი - ნანა ზარანდია.

სხდომას ესწრებოდნენ: სენაკის მუნიციპალიტეტის მერი; სამუშაო ჯფუფის წევრები; ზემო ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელი ვარდო ჩიქობავა.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: გარემოსდაცვითი ეკოლოგიური ასოციაცია „დეას" წარმომადგენელი თამარი მალანია; ერიკ ილსი - შვედეთის მისიის ხელმძღვანელის მოადგილე, საქართველოში შვედეთის განვიტარების სააგენტოს ხელმძღვანელი, ხათუნა ზალდასტანიშვილი - საქართველოში შვედეთი საელჩოს პროგრამების ხელმძღვანელი, ნინო ანთაძე - გაეროს განვითარების პროგრამის, გარემოს დაცვისა და ენერგეტიკის მიმართულების ხელმძღვანელი.

დღის წესრიგი:

1. სენაკის მუნიციპალიტეტის ზემო ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში ნაპირსამაგრი ნაგებობის მშენებლობის მონიტორინგის განხორციელება და სამუშაო ჯგუფის პრეზენტაცია

მომხსენებელი: ნანა ზარანდია-ჯგუფის ხელმძღანელი

მოისმინეს: 1. სენაკის მუნიციპალიტეტის ზემო ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში ნაპირსამაგრი ნაგებობის მშენებლობის მონიტორინგის განხორციელება და სამუშაო ჯგუფის პრეზენტაცია

მომხსენებელი: ნანა ზარანდია-ჯგუფის ხელმძღანელი

მომხსენებელმა დამსწრეთ წარუდგინა სენაკის მუნიციპალიტეტში ჩამოსული სტუმრები: ერიკ ილსი - შვედეთის მისიის ხელმძღვანელის მოადგილე, საქართველოში შვედეთის განვიტარების სააგენტოს ხელმძღვანელი, ხათუნა ზალდასტანიშვილი - საქართველოში შვედეთი საელჩოს პროგრამების ხელმძღვანელი, ნინო ანთაძე - გაეროს განვითარების პროგრამის, გარემოს დაცვისა და ენერგეტიკის მიმართულების ხელმძღვანელი.

სტუმრებმა მოკლედ მიმოიხილეს მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაო.

ამასთანავე, სამუშაო ჯგუფის მდივანმა დალი ქაჩიბაიამ და გარემოსდაცვითი ეკოლოგიური ასოციაცია „დეას" წარმომადგენელმა თამარ მალანიამ წარმოადგინეს პრეზენტაციები სამუშაო ჯგუფის საქმიანობისა და ორგანიზაციის მიერ სენაკის მუნიციპალიტეტში განხორციელებული გარემოსდაცვითი საქმიანობების შესახებ.

სამუშაო ჯგუფის შეხვედრა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში და დონორების მიერ მოწონებული იქნა სენაკის მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივა კლიმატის ცვლილების, ადაპტაციისა და კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკების რეაგირების სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარე: ნ. ზარანდია

სხდომის მდივანი: დ. ქაჩიბაია

კლიმატის ცვლილების, ადაპტაციისა და კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფული რისკების რეაგირების სამუშაო ჯგუფის

სხდომა N 4

ქ. სენაკი **23.06.2022 წ.**

სენაკის მუნიციპალიტეტის შეხვედრების დარბაზში გაიმართა კლიმატის ცვლილების, ადაპტაციისა და კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკების რეაგირების სამუშაო ჯგუფის სხდომა.

სხდომას თავმჯდომარეობდა: გაიმართა კლიმატის ცვლილების, ადაპტაციისა და კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკების რეაგირების სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი - ნანა ზარანდია.

სხდომას ესწრებოდნენ: სენაკის მუნიციპალიტეტის მერი; სამუშაო ჯფუფის წევრები.

დღის წესრიგი:

1. 2022 წლის 22 ივნისს, სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსული ძლიერი წვიმების შედეგად გამოწვეული წყალდიდობის გამო დაბინძურებული (შლამი და საყოფაცხოვრებო ნარჩენები) ქუჩების დასუფთავების ორგანიზების თაობაზე

მომხსენებელი: ნანა ზარანდია-ჯგუფის ხელმძღანელი

მოისმინეს: 1. 2022 წლის 22 ივნისს, სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსული ძლიერი წვიმების შედეგად გამოწვეული წყალდიდობის გამო დაბინძურებული (შლამი და საყოფაცხოვრებო ნარჩენები) ქუჩების დასუფთავების ორგანიზების თაობაზე

მომხსენებელი: ნანა ზარანდია-ჯგუფის ხელმძღანელი

მომხსენებელმა სიტყვა გადასცა სენაკის მუნიციპალიტეტის მერს. შესაბამისად, მერმა მოკლედ მიმოიხილა წყალდიდობის შედეგად შექმნილი მდგომარეობა და ასევე, ისაუბრა განსახორციელებელ დროულ ქმედებებზე. სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა დაავალა სამუშაო ჯგუფს ლოკაციების შერჩევა და საჯარო და კერძო სექტორის თანამშრომელთა/ მოხალისეთა მობილიზება და საჭირო ინვენტარის სახეობისა და რაოდენობის განსაზღვრა. აქვე, ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილებას ეთხოვა დაგეგმილი აქტივობის თაობაზე პრესრელიზის მომზადება და გაშუქება.

სხდომის თავმჯდომარე: ნ. ზარანდია

სხდომის მდივანი: დ. ქაჩიბაია